



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 27 აპრილი

**დისციპლინური საქმე №24/21
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ**

--- 2021 წლის 11 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 16 მარტის №83/24-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. ამავე წერილით განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1 საჩივრის ავტორის განცხადებით აღკვეთ ღონისძიებაზე მსჯელობისას, იმის მაგივრად, რომ მოსამართლეს ემსჯელა იმაზე თუ რამდენად კანონიერად იქნა შეფარდებული გირაო. მოსამართლემ მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი მტიცებულებათა ერთობლიობა მიიღო უკანონო გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების შესახებ. მოსამართლემ არასწორად განმარტა კანონი, მისი ქმედება არის თვითნებური და უკანონო.

1.2 საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოსამართლემ არაერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა ბრალდებულს, მის ადვოკატებს და მთელ ადვოკატთა კორპუსს (ბრალდებულის მიერ დაცვის უფლების გამოყენების დროს ყვირილით იკითხა თუ რისთვის ყავდა ადვოკატები). აცილების შუამდგომლობის დაყენებისას მოსამართლე გამოირჩეოდა აგრესიულობით, ყვიროდა და ბრალდებულს არ აძლევდა აზრის დასრულების საშუალებას, ემუქრებოდა დარბაზიდან გამეფებით და ამ მიზნით დაუძახა მანდატურებს.

1.3 აღკვეთ ღონისძიებაზე მსჯელობისას მოსამართლე პირდაპირ დაეხმარა პროკურორს აზრის ჩამოყალიბებაში და ახალი ფაქტობრივი გარემოებების შექმნაში.

1.4 მოსამართლემ არ განაცხადა თვითაცილება.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, დაცვის მხარის მიერ დაყენებული აცილების გადასაწყვეტად გავიდა სათათბირო ოთახში და ერთსაათიანი ლოდინის შემდეგ სასამართლო სხდომა გადადო გაურკვეველი ვადით. მოსამართლე დიდხანს უნდება დაცვის მხარის შუამდგომლობების განხილვას, ექვსი თვის განმავლობაში მოსამართლეს არცერთი შუამდგომლობა არ აქვს გადაწყვეტილი. ყოველი შუამდგომლობის დაყენებისას, მოსამართლე შუამდგომლობის გადაწყვეტის ნაცვლად დებს სხდომას გაურკვეველი დროით და აჭიანურებს მათ განხილვა-გადაწყვეტას.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

ბრალდებულ -- -- მიმართ არსებულ სისიხლის სამართლის საქმეზე 2020 წლის 26 აგვისტოს -- სასამართლოში ჩატარდა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა. ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 2,000 ლარის ოდენობით. აღნიშნულ სხდომაზე წინასასამართლო სხდომის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 5 ოქტომბერი, 16:00 საათი.

2020 წლის 29 სექტემბერს სს საქმე წინასასამართლო სხდომაზე განსახილველად დაეწერა მოსამართლე -- --.

წინასასამართლო სხდომები ჩატარდა:

2020 წლის 5 ოქტომბერს, 2020 წლის 26 ოქტომბერს, 2020 წლის 26 ნოემბერს, 2020 წლის 2 დეკემბერს, 2020 წლის 14 დეკემბერს, 2020 წლის 22 დეკემბერს, 2020 წლის 29 დეკემბერს, 2021 წლის 21 იანვარს, 2021 წლის 11 მარტს, 2021 წლის 19 მარტს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს

კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული ის გარემოებები, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ განხორციელებული ქმედებების კანონიერების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლეს უნდა ემსჯელა იმაზე თუ რამდენად კანონიერად იქნა შეფარდებული გირო, მაგრამ მოსამართლემ დაარღვია შეჯიბრობითობის პრინციპი და პირდაპირ დაეხმარა პროკურორს აზრის ჩამოყალიბებაში, ახალი ფაქტობრივი გარემოებების შექმნაში. ის ასევე აცხადებს, რომ მოსამართლემ მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა მიიღო უკანონო გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების შესახებ და არასწორად განმარტა კანონი, რის გამოც მისი ქმედება არის თვითნებური და უკანონო.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ-ის) მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდი არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.

სსსკ-ის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა შესაძლებელია ასევე წინასასამართლო სხდომაზე და საქმის არსებითი განხილვისას, ამ კოდექსით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით განიხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობას. თუ ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი.

უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე წინასასამართლო სხდომაზე კანონი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვას მხოლოდ შუამდგომლობის საფუძველზე, მხოლოდ პატიმრობის აუცილებლობა უნდა შემოწმდეს შუამდგომლობის არსებობის მიუხედავად. მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა და გაუქმების შუამდგომლობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

რაც შეეხება, საჩივრის ავტორის პრეტენზიას მოსამართლის მიერ შუამდგომლობის გადაწყვეტასა და მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი

რელევანტურობის განსაზღვრა, არის ეროვნული სასამართლოს პრეროგატივა (Barberia, Messegue, Jabardo v. Spain, §68).

ამრიგად, როგორც მოსამართლის მიერ შუამდგომლობის გადაწყვეტასა და მტკიცებულებათა შეფასებაზე, ასევე ნორმის განმარტებაზე მსჯელობა სცდება დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებს (მუხლი 75¹, მე-6 პუნქტი). კონკრეტულ შემთხვევაში ნორმის განმარტების სამართლებრივი პროცესი, ისევე როგორც შუამდგომლობის გადაწყვეტა და მტკიცებულებათა შეფასების პროცესი ხორციელდება გარემოებათა შინაგანი რწმენით შეფასებების საფუძველზე.

კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც აღნიშნულია წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტში, ორგანული კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განხორციელებული ქმედებების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

შესაბამისად, საჩივარში მითითებული გარემოებები, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილებისა თუ განხორციელებული ქმედების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. -- -- 2021 წლის 11 მარტის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, -- -- 2021 წლის 11 მარტის №-- საჩივარში მითითებული დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი